ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიას
და
ახალქალაქის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - კოლეჯს
შორის

ქ. გორი 30 სექტემბერი 2011 წელი

ერთი მხრივ, ახალქალაქის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - კოლეჯი (შემდგომში - კოლეჯი) წარმოდგენილი რექტორის როინ ყავრელიშვილის სახით და მეორე მხრივ, სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია (შემდგომში - აკადემია) წარმოდგენილი რექტორის მოვალეობის შემსრულებლის, ანდრო ბარნოვის სახით,

გამოთქვამენ რა თანამშრომლობის სურვილს, იმის შეგნებით, რომ სამოქალაქო საზოგადების აშენება და დასავლურ სამყაროსთან და ევროკავშირთან ინტეგრაცია ჩვენი ქვეყნისა და ხელისუფლების სტრატეგიული პრიორიტეტია, ეს მიზანი კი მიიღწევა დასავლური სტანდარტების შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე სპეციალისტების აღზრდით,

იმის გათვალისწინებით, რომ ყოველგვარი ინიციატივა ნაყოფიერია, თუ იგი სახელმწიფო თუ კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე ხორციელდება,

მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1.

მხარეები ითანამშრომლებენ სტუდენტთა/მსმენელთა თანამედროვე პროგრამებით მომზადებისა და კვალიფიკაციის დონის ამაღლების მიმართულებით, რაც გულისხმობს სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების შემუშავებას, ერთობლივი კონფერენციების, სემინარებისა და ტრეინინგების ჩატარებას.

მუხლი 2.

მხარეები უზრუნველყოფენ ერთობლივი კულტურული, სპორტული და საგანმანათლებლო-შემეცნებითი ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას.

მუხლი 3.

წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადაო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციებისა და მოლაპარაკების გზით.

მუხლი 4.

წინამდებარე მემორანდუმში მხარეთა შეთანხმების საფუძველზე შეიძლება შეტანილ იქნას ცვლილებები და დამატებები.

მუხლი 5.

მემორანდუმი შედგენილი ქართულ ენაზე ორ თანაბარ იურიდიულ ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მუხლი 6.

წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

ახალქალაქის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება -კოლეჯი

როინ ყავრელიშვილი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

ანდრო ბარნოვი

ხელშეკრულება

ქ. გორი 30 სექტემბერი 2011 წელი

მხარეები:

ახალქალაქის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - კოლეჯი (შემდგომში - კოლეჯი) წარმოდგენილი რექტორის როინ ყავრელიშვილის სახით
და,
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია (შემდგომში - აკადემია) წარმოდგენილი რექტორის მოვალეობის შემსრულებლის ანდრო ბარნოვის სახით

ურთიერთშორის 2011 წლის 30 სექტემბერს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

1. ხელშეკრულების საგანი:

აკადემიაში ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების სომხურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული მსმენელის (პუთულიან ნაირი - სომხურენოვანთათვის) ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლით უზრუნველყოფა კოლეჯის მიერ.

2. ხელშეკრულების პირობები:

1. წინამდებარე ხელშეკრულებით კოლეჯი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს აკადემიაში ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ სომხურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული მსმენელი (პუთულიან ნაირი - სომხურენოვანი) ქართულ ენაში მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამით, ერთი წლის განმავლობაში.
2. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კოლეჯი გასცემს ამ პროგრამის დასრულების დამადასტურებელ სერტიფიკატს.
3. კოლეჯი ზემოაღნიშნული მსმენელის ქართულ ენაში მოსამზადებელი საგანმანათლებლო პროგრამის გავლას უზრუნველყოფს ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე.

3. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და პასუხისმგებლობა:

1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
2. ხელშეკრულების შესრულების პროცესში რომელიმე მხარე თუ წააწყდება რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

4. ფორს-მაჟორი:

1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან ფორს-მაჟორის შემთხვევაში.
2. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის გამო, არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა.

5. სხვა პირობები:

1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლიარად ქართულ ენაზე. ორივე ეგზემპლარის ტექსტი იდენტურია და გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.
2. წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით
3. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

ახალქალაქის უმაღლესი საგანმანათლებლო
დაწესებულება -კოლეჯი

როინ ყავრელიშვილი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

ანდრო ბარნოვი